



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ახალი კორონავირუსის პანდემიასთან
დაკავშირებული ინფორმაციის პროაქტიული
გამოქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკა



სარჩევი

შესავალი	3
პანდემიის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია.....	3
პანდემიასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმები	5
გატარებული ღონისძიებები და გაწეული ხარჯები	6
პანდემიის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები	10
პანდემიის ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტები	11
პროაქტიულად გამოქვეყნებული პანდემიასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია	13
დასკვნა	14



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შესავალი

IDFI წლებია სწავლობს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკას და ამის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობს რეკომენდაციებს. მაგალითად, 2014 წელს, IDFI-მ [შეისწავლა](#) სამი ქვეყნის (კანადის, ავსტრალიის და იტალიის) საჯარო დაწესებულებების ვებგვერდებზე ინფორმაციის გამოქვეყნების პრაქტიკა. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, IDFI-ს მიზანს წარმოადგენს ახალი კორონავირუსის პანდემიით მსოფლიოში შექმნილ კრიზისულ ვითარებაში სხვადასხვა ქვეყნების მიერ ინფორმაციის მაღალი სტანდარტით გამოქვეყნების მაგალითების შესწავლა და მსგავს კრიზისულ სიტუაციებში რეკომენდირებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ტიპების იდენტიფიცირება. კერძოდ, კვლევის ფარგლებში კანადის, ავსტრალიის და იტალიის გარდა, ასევე შესწავლილია დიდი ბრიტანეთის, უკრაინის, ბრაზილიის, კოლუმბიის და აშშ-ს ცალკეული შტატების საჯარო უწყებების მიერ საკუთარ გვერდებზე და ღია მონაცემების პორტალებზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ცალკეული მაგალითები.


კვლევის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, IDFI-ს მიერ წარმოდგენილია ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული შემდეგი ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნების პრაქტიკა:

- პანდემიის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია
- პანდემიასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმები
- გატარებული ღონისძიებები და გაწეული ხარჯები
- პანდემიის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები
- პანდემიის ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტები
- პანდემიასთან დაკავშირებული სხვა პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია

პანდემიის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია

ახალი კორონავირუსის პანდემიის მიმდინარეობის შესახებ ზოგადი სტატისტიკური მონაცემები (ქვეყნების მიხედვით - ინფიცირებულთა რაოდენობა, ახალი შემთხვევები, სიკვდილიანობა, გამოჯანმრთელება), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან ერთად, ხელმისაწვდომია არა-ერთ სპეციალურად შექმნილ სტატისტიკის პორტალზე. აღნიშნული მონაცემები, გვიქმნის მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნებში პანდემიის გავრცელების შესახებ ზოგად წარმოდგენებს, რაც არ არის საკმარისი ცალკეული ქვეყნებში პანდემიის მიმდინარეობის, მასთან ბრძოლაში გადადგმული ნაბიჯების და რესურსების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის სრულფასოვანი შეფასებისთვის. ამ თავში, IDFI-ს მიერ წარმოდგენილია პანდემიის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სტატისტიკური მონაცემების სხვადასხვა ქვეყნების საჯარო დაწესებულებების მიერ კარგი პრაქტიკით გამოქვეყნების მაგალითები.

ბრაზილიის სახელმწიფოს მიერ შექმნილია [ინტერაქტიული რუკა](#), რომელიც რეგიონების მიხედვით ასახავს ქვეყანაში სამედიცინო რესურსების (ნიღბები, სწრაფი ტესტები, ქირურგიული ხელთათმანები და ა.შ.) და საავადმყოფოებში საწოლების ხელმისაწვდომობას.



[სამხრეთ კორეის სტატისტიკური პორტალი](#) - კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევების სტატისტიკური მონაცემები ასაკის, სქესის, ეროვნების მიხედვით, ასევე საზღვარგარეთიდან შემოსული პაციენტების წარმომავლობა და დადასტურებამდე ადგილსამყოფელი (კარანტინი, თვითიზოლაცია).

Overseas inflows

division	new	Cumulative	(ratio)
Sum	5	1,011	
Influent countries	China	0	16 (1.6%)
	Asia outside of China	One	109 (10.8%)
	Europe	4	440 (43.5%)
	Americas	3	442 (43.7%)
	Africa	0	3 (0.3%)
	Australia	0	One (0.1%)
Confirmation step	Quarantine stage	3	421 (41.6%)
	Community	2	590 (58.4%)
Nationality	local	4	926 (91.6%)
	Foreigner	One	85 (8.4%)

შედარებით უფრო დეტალურია სინგაპურის ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. [პორტალზე](#) ხელმისაწვდომია დადასტურებული პაციენტების სრული სია, მათი სქესის, ასაკის, ეროვნების, ინფექციის წყაროს, სტატუსის (გამოჯანმრთლებული, გარდაცვლილი, ჰოსპიტალში, კარანტინში), დადასტურების თარიღის, შედეგის დადგომის თარიღის და სიმპტომების მითითებით (გამოხატული სიმპტომები/ასიმპტომური). მონაცემების ღია ფორმატში გამოქვეყნების შედეგად, [ცალკეული შემთხვევის ბმულზე](#) გადასვლით შესაძლებელია დამატებითი დეტალების მიღება. კერძოდ, პაციენტის

დაინფიცირების ისტორიის მოკლე ვერსია: მისი დადასტურებული კონტაქტების ამსახველი ლიაგრამა, სიმპტომების გამოვლენის, დადასტურებისა და გამოჯანმრთელების დღეები.

Case 1: 66 year old Wuhan Man

GENDER Male	AGE 66	STATUS Recovered	SYMPTOMATIC 21 Jan 20	CONFIRMED 23 Jan 20	RECOVERED 19 Feb 20
----------------	-----------	---------------------	--------------------------	------------------------	------------------------

Details

The Ministry of Health (MOH) has on 23 January 2020 confirmed one imported case of novel coronavirus infection in Singapore. The case is a 66 year-old male Chinese national from Wuhan who arrived in Singapore with his family on 20 January 2020. This case presented at SGH Emergency Department with fever and cough on 22 January.

He was classified as a suspect case and immediately isolated. MOH was notified of the suspect case at about 10pm on 22 January. Subsequent test results were confirmed for the novel coronavirus at 6pm on 23 January.

The patient reported that he had developed a sore throat but did not have fever during the flight to Singapore on 20 January. He subsequently developed fever and cough on 21 January. He was admitted and isolated at SGH on 22 January for further assessment, in view of his clinical symptoms and recent travel history from Wuhan. The patient was diagnosed to have pneumonia upon admission, and has been isolated since admission.

Prior to hospital admission, the patient stayed at Shangri-La's Rasa Sentosa Resort & Spa in Sentosa and indicated that he had kept to the vicinity of the hotel.

Relationships


ესპანეთის ღია მონაცემთა პორტალზე ქვეყნდება საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დარღვევების ნუსხა, აღრიცხულია დამრღვევის დაბადების წელი, სქესი, დარღვევის ადგილმდებარეობა, თარიღი და ტიპი. ამავე პორტალზე გვხვდება ცალკეული პროვინციების (რეგიონების) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეგროვებული **სტატისტიკა** სამედიცინო პერსონალის დაინფიცირების შემთხვევების შესახებ, ასევე მოცემულია კორონავირუსით დაინფიცირებული პაციენტების მიერ დაკავებული საწოლების/პალატების რაოდენობა, მუნიციპალიტეტის, ჰოსპიტალის და დაკავების თარიღის მითითებით. აღსანიშნავია რომ მონაცემები ხელმისაწვდომია ღია დამუშავებად ფორმატში.

ბრაზილიის მსგავსად, უმბრიის რეგიონის (იტალია) ადგილობრივი ხელისუფლება აქვეყნებს ინფორმაციას გაცემული დამცავ-სანიტარული ინვენტარის შესახებ. კერძოდ, **იტალიის ღია მონაცემთა პორტალზე** ატვირთულია საგანგებო მდგომარეობის დაწყების დღიდან ჯანდაცვის ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის, ჰოსპიტალებისთვის, სამართალდამცავებისთვის, მოხალისეებისთვის, სანიტარული პერსონალისა და კერძო კომპანიებისთვის დარიცხული აღჭურვილობა. მონაცემები ხელმისაწვდომია ღია დამუშავებად ფორმატში.

ჰანდემიასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმები

ჰანდემიასთან ბრძოლის თვალსაზრისით შექმნილი და პროაქტიულად გამოქვეყნებული სამოქმედო გეგმების დოკუმენტები ძირითადად ორი ტიპისაა. კერძოდ, ჰანდემიასთან სამედიცინო და ეკონომიკური თვალსაზრისით ბრძოლის სამოქმედო გეგმები. მაგალითად, ავსტრალიის ჯანდაცვის დეპარტამენტის **კუბგვარდზე** წარმოდგენილია ჯანდაცვის სექტორის საგანგებო სამოქმედო გეგმა ვირუსთან ბრძოლის თვალსაზრისით, ხოლო სახელმწიფო

ხაზინის [ვებგვერდზე](#) განთავსებულია ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ შემუშავებული სამოქმედო გეგმების შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას მოქალაქეების, ბიზნესის და სხვა ეკონომიკური სუბიექტების მხარდაჭერისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. მსგავსი დოკუმენტები ასევე ხელმისაწვდომია, ირლანდიის მთავრობის [ვებგვერდზე](#).



Downloads

Australian Health Sector Emergency Response Plan for Novel Coronavirus (COVID-19)

 [Download PDF](#) - 1.8 MB , 56 pages

 [Download Word](#) - 1.4 MB , 56 pages

We aim to provide documents in an accessible format. If you're having problems using a document with your accessibility tools, [please contact us for help](#).

Coronavirus (COVID-19) information

If you are looking for information relating to the [Government economic response to the Coronavirus](#) you can try the following pages:

- [Resources](#)
- [Supporting individuals and households](#)
- [Support for businesses and employers](#)
- [JobKeeper Payment](#)
- [SME Guarantee Scheme](#)
- [Supporting the flow of credit](#)

გატარებული ღონისძიებები და გაწეული ხარჯები

კვლევის ფარგლებში შესწავლილი ძირითადი ქვეყნების საჯარო უწყებები პროაქტიულად აქვეყნებენ პანდემიის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების და მათზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციას. მაგალითად, **კანადის** მთავრობის ვებგვერდზე წარმოდგენილია ღონისძიებების სახეების მიხედვით გაწეული ხარჯების ჩამონათვალი.

ავსტრალიის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ეკონომიკური რეაგირების [გეგმა](#), სადაც ასახულია პანდემიის მიერ მიყენებული ზიანის განეიტრალებისკენ მიმართული სახელმწიფო აქტივობები, მათ განსახორციელებლად გამოყოფილი თანხები, ამოქმედების ვადები და დაფარვის ზონები.

Summary: Economic response to the Coronavirus

AIM	WHAT	WHEN	19-20 \$M	20-21 \$M	21-22 \$M	22-23 \$M	23-24 \$M	TOTAL \$M
Support for Individuals and Households	Income support for individuals The Government is temporarily expanding eligibility to income support payments and establishing a new, time-limited Coronavirus supplement to be paid at a rate of \$550 per fortnight. This would be paid to both existing and new recipients of the eligible payment categories. ¹	From 27 April 2020	-5,216	-8,841	-39	-22	-15	-14,133
	Payments to support households Provide two rounds of \$750 payments to those eligible.	First round from 31 March 2020, second round from 13 July 2020	-4,877	-3,917	-34	-2	0	-8,830
	Temporary early release of superannuation Enable individuals and sole traders directly impacted by the economic consequences of the Coronavirus to access up to \$10,000 of their superannuation, tax-free, in 2019-20, and up to a further \$10,000 in 2020-21. No tax will be imposed on withdrawals.	Applications from April 2020	-20	-250	-280	-290	-310	-1,150
	Temporarily reduce superannuation minimum drawdown rates Reduce the superannuation minimum drawdown rates by 50 per cent for the 2019-20 and 2020-21 income year.	Immediately	0	*	*	*	0	*
	Lower the social security deeming rates Lower the social security deeming rates in response to the low interest rate environment.	From 1 May 2020	-35	-203	-208	-212	-218	-876

მსგავსი ინფორმაცია ასევე ქვეყნდება ადგილობრივი ხელისუფლების ვებგვერდებზე, მაგალითად [დასავლეთ ავსტრალიის ადმინისტრაციის გვერდზე](#) გვხვდება მათ მიერ განხორციელებული ცვლილებების, გამოყოფილი თანხების, შეჩერებული პროგრამების და სხვა ღონისძიებების ჩამონათვალი.

აშშ-ს შემთხვევაში მსგავსი ტიპის ინფორმაციას ვხდებით ცალკეული შტატების დონეზეც. მაგალითად, კალიფორნიის შტატის ოფიციალურ [ვებგვერდზე](#) წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების და გამოყოფილი დაფინანსების შესახებ.

Government support to date for COVID-19


\$ millions	Total
Immediate public health response	50
Repatriation of Canadians	7
Initial support to the World Health Organization	2
Sustained communications and public education	50
Investing in research	275
Support for provinces and territories	500
Personal protective equipment	50
International assistance	50
Employment Insurance Sickness Benefits	5
Work Sharing Program	12
Additional public health response, including funding for Indigenous Services Canada	100
Total	1,101

ბრაზილიაშია შექმნილია სპეციალური [პორტალი](#), სადაც განთავსებულია და ვიზუალიზაციების საშუალებით წარმოდგენილია კორონა ვირუსთან ბრძოლისთვის გამოყოფილი სახელმწიფო რესურსების და გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია.



ირლანდიის ღია მონაცემების [პორტალზე](#) გამოქვეყნებულია საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში შემუშავებული დროებითი სახელმწიფო შემწეობის პროგრამების ბენეფიციარი მოქალაქეების სტატისტიკა. მონაცემები განლაგებულია ასაკის და სქესის მიხედვით.

Data Resource Preview - [Persons on the Live Register and Persons in receipt of the Pandemic Unemployment Payment and the Temporary COVID-19 Wage Subsidy Scheme by Sex, Age Group, Month and Statistic](#)



Persons on the Live Register and Persons in receipt of the Pandemic Unemployment Payment and the Temporary COVID-19 Wa

ვაშინგტონის შტატმა კორონავირუსის გავრცელების საპასუხოდ ბიუჯეტიდან გამოყო 200\$ მილიონამდე. ამ თანხის განაწილება ასახულია შტატის [ფინანსური დეპარტამენტის ვებგვერდზე](#).


პანდემიის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები

კვლევის ობიექტი ქვეყნები, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პანდემიის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალურ ვებგვერდებზე ვხვდებით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ შემდეგ ინფორმაციას:


- პანდემიის ფარგლებში საჯარო შესყიდვების შესახებ განახლებული წესები
- პანდემიის პერიოდში გამარტივებული წესით განხორციელებული საჯარო შესყიდვების რეგულარულად განახლებადი სია.

უკრაინაში საჯარო შესყიდვები ქვეყნდება ღია API ელექტრონული შესყიდვების სისტემის, ProZorro-ს მეშვეობით. [პლატფორმა](#) შექმნილია უკრაინის ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობით. პანდემიასთან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, შესყიდვების პორტალს დაემატა ახალი კატეგორია (Reporting COVID-19) რომელიც იძლევა საგანგებო/ გამარტივებული წესით განხორციელებული ყველა შესყიდვის მონიტორინგის საშუალებას.

როგორც ქვევით მოცემულ [სურათზეა](#) ასახული, პლატფორმა იძლევა ყოვლისმომცველი ანალიზის საშუალებას. მოცემულია შესყიდვების რაოდენობა, ჯამური ღირებულება, შემსყიდველი ორგანოების რაოდენობა და პროვაიდერების რაოდენობა, ამ მონაცემების ასახვა ასევე შესაძლებელია რეგიონების, შემსყიდველი უწყებების და თარიღების მიხედვით. უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის, მონაცემები ხელმისაწვდომია ღია დამუშავებად ფორმატშიც, მოცემულია ინდივიდუალური შესყიდვების შესახებ ინფორმაცია: შემსყიდველი ორგანო, ხელშეკრულების ღირებულება, საგანი, გაფორმების თარიღი, მიმწოდებელი და ა.შ. პლატფორმის მოხმარების [დეტალური ინსტრუქცია](#) გამოაქვეყნა „Open Contracting Partnership“ - მა.



ამგვარი **პორტალი** შექმნა კოლუმბიის ხელისუფლებამაც, სადაც API-ის სახით, გამოქვეყნებულია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დღიდან განხორციელებული ყველა საჯარო შესყიდვა, მათი გაფორმების თარიღი, შესყიდვის თანხა, საჯარო უწყების დასახელება, ხელშეკრულების საგანი და ხელშეკრულების სრული დოკუმენტი. პორტალზე ასევე მოცემულია სტატისტიკის ამსახველი დიაგრამა, სადაც დღეების მიხედვით მოცემულია მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული საჯარო კონტრაქტები და მათი ღირებულებების ჯამი. როგორც ცნობილია, API საშუალებას იძლევა ერთმანეთთან დაუკავშირებელი სისტემებისა თუ აპლიკაციების ურთიერთდაკავშირებას, რის საშუალებითაც ავტომატურად ხდება გამოქვეყნებული მონაცემების განახლება და ასახვა.



FUENTE: SECOP I y SECOP II (procesos)

FECHA: Después del 17 de marzo de 2020



Búsqueda por Objeto Contractual:

Búsqueda por nombre de la Entidad

Búsqueda por nombre del Proceso

Seleccione el estado del proceso

All ▼

← Borrar filtros

- ADMINISTRADORA COLOMBIANA DE PENSIONES - COLPENSIONES
- ADMINISTRADORA DE LOS RECURSOS DEL SISTEMA GENERAL DE SEGURIDAD SOCIAL EN SALUD
- ADPOSTAL - ADMINISTRACION POSTAL NACIONAL E INTERNACIONAL
- AERONAUTICA CIVIL - AEROCIVIL
- AEROPUERTO INTERNACIONAL MATECAÑA
- AGENCIA COLOMBIANA DE COOPERACION INTERNACIONAL
- AGENCIA DE DESARROLLO RURAL - ADR
- AGENCIA DE RENOVACION DEL TERRITORIO
- AGENCIA DEL INSPECTOR GENERAL DE TRIBUTOS RENTAS Y CONTRIBUCIONES PARAFISCALES - ..
- AGENCIA LOGISTICA DE LAS FUERZAS MILITARES - ALFM
- AGENCIA NACIONAL DE CONTRATACION PUBLICA - COLOMBIA COMPRA EFICIENTE
- AGENCIA NACIONAL DE DEFENSA JURIDICA DEL ESTADO - ANDJE
- AGENCIA NACIONAL DE HIDROCARBUROS - ANH
- AGENCIA NACIONAL DE INFRAESTRUCTURA - ANI
- AGENCIA NACIONAL DE MINERIA - ANM
- AGENCIA NACIONAL DE SEGURIDAD VIAL
- AGENCIA NACIONAL DE TIERRAS

ჰანდემის ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტები

კანადის, იტალიის და ბრაზილიის ოფიციალურ ვებგვერდებზე პროაქტიულად ხელმისაწვდომია კორონა ვირუსის პანდემიის ირგვლივ მიღებული ნორმატიული აქტების და რეგულაციების კრებული. მაგალითად, იტალიის ხელისუფლებამ, საჯარო ინფორმაციის [ვებგვერდზე](#) გამოაქვეყნა სხვადასხვა საჯარო უწყებების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები. გვერდზე ამჟამად მოცემულია ხუთი კატეგორია: მთავრობა, ჯანდაცვის დეპარტამენტი, ჯანდაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.



Raccolta degli atti recanti misure urgenti in materia di contenimento e gestione dell'emergenza epidemiologica da COVID-19

- Governo**
Raccolta degli atti emanati dal Governo
- Dipartimento della Protezione Civile**
Raccolta degli atti emanati dal Dipartimento della Protezione Civile
- Ministero della Salute**
Raccolta degli atti emanati dal Ministero della Salute
- Ministero dell'Economia e delle Finanze**
Raccolta degli atti emanati dal Ministero dell'Economia e delle Finanze
- Ministero dello Sviluppo Economico**
Raccolta degli atti emanati dal Ministero dello Sviluppo Economico

კანადის ხელისუფლებამ ასევე [გამოაქვეყნა ნორმატიული აქტები](#), თუმცა იტალიისგან განსხვავებით მათი დაჯგუფება მოახდინეს აქტის ტიპის მიხედვით (კანონი, წესდება, ბრძანება, რეგულაცია)

Government of Canada's response to COVID-19

The Government of Canada is acting to minimize the impacts of the [COVID-19 pandemic](#) on Canadians.

This webpage was created to provide the latest information on legislative and other measures adopted to protect Canadians in response to the pandemic.

 <p>Legislation</p>	 <p>Charter Statements</p>	 <p>Orders and Regulations</p>
---	--	---

The following federal legislation has been enacted to date to protect the health and well-being of Canadians during the COVID-19 pandemic:

- [An Act to amend the Financial Administration Act \(special warrant\) \(S.C. 2020, c.4\)](#)
- [COVID-19 Emergency Response Act \(S.C. 2020, c.5\)](#)
- [COVID-19 Emergency Response Act, No. 2 \(S.C. 2020, c.6\)](#)

პროაქტიულად გამოქვეყნებული პანდემიასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია

ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით ზემოთ განხილული ინფორმაციის გარდა, ცალკეული ქვეყნების საჯარო უწყებების ვებგვერდებზე დამატებით განთავსებული სხვადასხვა ინფორმაცია. მაგალითად **დიდი ბრიტანეთის** საჯარო [საინფორმაციო პორტალი](#) გვთავაზობს დეტალურ ინფორმაციას საჯარო სერვისების შესახებ, რომლებზეც პანდემიამ იქონია გავლენა.

კანადის სამთავრობო გვერდზე განთავსებულია პანდემიის პერიოდში საჯარო მოხელეებისათვის დისტანციური სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, კანადის სახელმწიფოს ღია მონაცემების პორტალზე ვხვდებით განცხადებას, რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მოქალაქეებს ამცნობს, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შესაძლო შეფერხების შესახებ.

ესპანეთში მოქმედებს სახელმწიფო დახმარების პროგრამა იმ მოქალაქეთათვის რომლებმაც დაკარგეს შემოსავლის წყარო პანდემიისა და საგანგებო სამუშაო რეგულაციების შედეგად. კატალონიის ხელისუფლება აქვეყნებს ამ პროგრამის აპლიკანტების [სტატისტიკას](#). მოცემულია აპლიკანტების რაოდენობა ეკონომიკური დარგების მიხედვით ღია დამუშავებად ფორმატში. კატალონიის ადგილობრივ მთავრობას ასევე გამოქვეყნებული აქვს საგანგებო მდგომარეობის პირობებში შეწყვეტილი ან შეჩერებული საჯარო პროექტების ნუსხა, მითითებულია დაწყების თარიღი, დამკვეთი დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტი და განმანხორციელებელი კონტრაქტორი.

დასკვნა

ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ კრიზისული მდგომარეობის ფონზე ცალკეული ქვეყნები ახერხებენ მთელ რიგ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კარგი პრაქტიკის დამკვიდრებას. ასევე, გამოიკვეთა ოფიციალური ღია პლატფორმების მნიშვნელობა, სადაც მონაცემებს ქვეყნები ღია ფორმატში აქვეყნებენ. სხვა დაინტერესებულ პირებს, მონაცემთა ანალიტიკოსებს, კვლევით ორგანიზაციებს, დარგის სპეციალისტებსა და ჟურნალისტებს კი ეძლევათ საშუალება მოამზადონ საკუთარი ანალიზი და საინტერესო კვლევები პანდემიის გავრცელების სხვადასხვა ასპექტების შესახებ. თუმცა, ჩვენი დაკვირვება ასევე ცხადყოფს, რომ კვლევაში შესწავლილი ვერცერთი ქვეყანა, პანდემიის მიმდინარეობის ამ ეტაპზე ვერ გვთავაზობს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების იდეალურ პრაქტიკას, რაც სრულად დააკმაყოფილებდა პანდემიის ფარგლებში საზოგადოებაში არსებულ მაღალ ინტერესებს და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

წინამდებარე კვლევაში შესწავლილი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციითა და ცალკეული მონაცემებისადმი საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, IDFI-მ მოამზადა [დოკუმენტი](#), სადაც ასახულია ყველა ის ინფორმაცია რომლის პროაქტიული გამოქვეყნებაც მიზანშეწონილია პანდემიის პირობებში.

ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი პანდემიის გამოწვევებსა და მასთან ბრძოლის საჭიროებებთან.